“თუ ყველანი მივვარდებით ბანკებში და დავიწყებთ ჩვენი ანაბრების გამოტანას, ამით საკუთარ თავს გავაკოტრებთ, საქართველოს ეკონომიკას მოვსპობთ”

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 11-17 აგვისტო, № 32, 2008

რა ეკონომიკურ შედეგებს მოიტანს საქართველოში განვითარებული საომარი მდგომარეობა? გვემუქრება თუ არა საბანკო და ეკონომიკური კრიზისები? რაზარალს მიიღებს ქართული ეკონომიკა ამ საომარი მოქმედებებით და რამდენად მზადაა ჩვენი ქვეყანა ომისათვის. ამ საკითხებთან დაკავშირებით „ქრონიკა“ დამოუკიდებელ ეკონომიკურ ექსპერტს, ლადო პაპავას ესაუბრა:

– სანამ ეკონომიკურ შეფასებაზე გადავალთ, აუცილებლად უნდა გავამახვილო ყურადღება ზნეობრივ საკითხზე და ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტზე, რომელიც დღეს პირველ პლანზეა წამოწეული. ყველამ თვალნათლივ დავინახეთ, რომ ეს არის რუსეთის დაუფარავი აგრესია. ომის განცდა საზოგადოებაში არსებობდა, თუმცა მაინც გვქონდა იმედი, რომ გონიერება გაიმარჯვებდა და რუსები ომს არ დაიწყებდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთმა პირდაპირი აგრესია გადმოიტანა საქართველოზე. ჩემი აზრით, ის ერთსულოვნება, რომელიც დღეს არის ქართულ საზოგადეობაში, პოლიტიკურ ელიტაში, არის იმის დასტური, რომ საქართველო ღირსეულად შეძლებას ამ პრობლემის გამკლავებას.

რაც შეეხება ეკონომიკას. თქვენთს გაზეთში მე ადრეც ვისაუბრე, რომ თუ ეს საომარი მოქმედებები მალე დასრულდება, ეს ეკონომიკაზე ძალზედ უარყოფითად არ აისახება, მაგრამ თუ ეს დროში გაიჭიმა, მაშინ სერიოზული პრობლემები შეიქმნება. თუმცა, მე დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ეს ძალიან მალე მორჩება და კონფლიქტის დროში გაჭიმვას საერთაშორისო საზოგადოება და ჩვენი მეგობარი ქვეყნები არ დაუშვებს. თუმცა ზარალი უკვე სახეზეა. თუნდაც ის ფაქტი, რომ დაიბომბა ფოთის პორტი, დაიბომბა მშვიდობიანი მოსახლეობა, დაინგრა სახლები. ეს ეკონომიკური ზარალია. ეს ზარალი დასათვლელია და ამ ეტაპზე ძნელია პასუხი გაეცეს დაახლოებითაც

კი, თუ რა ოდენობისაა იგი. ეს ყველაფერი დათვლადი და აღდგენადია, მაგრამ ყველაზე დიდი ზარალი არის ის გარდაცვლილი ადამიანები, რომლებიც შეეწირნენ ამ კონფლიქტს.

– ჩვენ მატერიალურ ზარალზე ვისაუბრეთ. თქვენი შეფასებით, რა ზარალს მიიღებს ქართული ეკონომიკა განვითარების თვალსაზრისით?

– განვითარების თვალსაზრისით ქართული ეკონომიკა უკვე იყო დაზარალებული, მაშინ როცა საქართველოში ჩამოყალიბდა ორი უკონტროლო ტერიტორია. ამ ტერიტორიების ჩვენს იურისდიქციაში ყოფნის შემთხვევაში საქართველო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით გაცილებით მეტ შედეგს მიაღწევდა. ეს ტერიტორიები ყოველთვის იყო დაკავშირებული კონტრაბანდასთან, ნარკოტიკების გადატანასთან და ეს რა თქმა უნდა უარყოფითი იყო. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, სანამ ქვეყანაში საომარი მდგომარეობაა ეკონომიკაზე რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება. მაგალითად ისიც გამოდგება, რომ ზოგიერთ გაცვლით პუნქტებში დოლარებს იღებენ, მაგრამ არ ყიდიან, რადგან აკვირდებიან როგორ განვითარდება სიტუაცია. სამწუხაროდ ზოგიერთმა ბანკმა გასულ შაბათს თავიანთი ოფისები დროზე ადრე დახურეს, რაც ასევე მიუღებელია.

– პირდაპირ შეგვიძლია დაგისახელოთ, რომ „ტაოპრივატბანკმა“ ელექტრონული ბარათები საერთოდ დაბლოკა და ბანკომატებიდან თანხის გატანა შეუძლებელია.

– ეს ძალიან ცუდია. საომარი მდგომარეობის დროს განსაკუთრებით სჭირდებათ სიმშვიდე ჩვენს საბანკო და აბსოლუტურად ყველა კერძო სტრუქტურას, და თუ მათ სახელმწიფოსგან არა აქვთ მიღებული განსაკუთრებული რეგულაციები, თვითშემოქმედება არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან! თუ „ტაოპრივატბანკმა“ ეს გააკეთა, ძალია ცუდია...

– თუ შეიქმნა პანიკა და მოსახლეობამ ბანკებიდან გამოიტანა ანაბრები, ეს თავისთავად შექმნის საბანკო კრიზისს...

– რა თქმა უნდა, მაგრამ მოდით ეს „თუ“ გამოვრიცხოთ. მე ვფიქრობ ჩვენი საზოგადოება დიდი თვითშეგნებით გამოირჩევა და ეს პირველმა დღეებმა კარგად აჩვენა. ხალხში რა თქმა უნდა იგძნობა დაძაბულობა, მაგრამ ამის მიუხედავად არ არის პანიკა. მე მინდა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართო ჩვენს საზოგადოებას, რომ არაფერი არ არის საპანიკო. პირიქით, თუ ჩვენ ახლა ყველანი მივარდებით და დავიწყებთ ჩვენი ანაბრების გამოტანას, იგივე ჩვენს თავს გავაკოტრებთ, ჩვენს ეკონომიკას მოვსპობთ.

ამით დიდ დარტყმას მივაყენებთ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ თავს. ჩვენი ანაბრები ბანკებს დასაწყობებული ხომ არ აქვს? ეს თანხები გასულია ბრუნვაში და თუ ჩვენ ყველა ჩვენს ფულს მოვითხოვთ, ეს გამოიწვევს ბანკების გაკოტრებას და ამით ისევ ჩვენ გავკოტრდებით. უმორჩილესად ვთხოვ ყველა მოქალაქეს, რომ აჟიოტაჟურ პანიკას ნუ შევქმნით, მაგრამ ერთიცაა, ეს პანიკა რომ არ შეიქმნას, ამას ბანკებმაც უნდა შეუწყონ ხელი. როცა ზოგიერთი ბანკი დროზე ადრე კეტავს ოფისებს, ან მით უმეტეს, ბლოკავს ბარათებს, ეს იწვევს ხელოვნურ პანიკას. ჩვენმა მოსახლეობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს არ არის ჩვენი მთავრობის ან თავდაცვის სამინისტროს ომი, ეს არის „სამამულო ომი“. დღეს ჩვენი მამულია გასაჭირში და ეს ყველას გვეხება. ომი ადრე თუ გვიან, იმედია ადრე დასრულდება და საკუთარ თავს პანიკით ნუ მივაყენებთ ზიანს. ასევე მინდა მივმართო მოსახლეობას იმასთან დაკავშირებით, რომ ნუ გადაწყვეტს ე.წ. სასურსათო მარაგის შექმნას და ნუ შეიძენს იმაზე მეტ პროდუქტს, რაც ყოველდღიურად სჭირდებათ. ამან შეიძლება გამოიწვიოს ხელოვნური ეკონომიკური პრობლემები, პროდუქტების შემცირება და ფასების მყისიერი აწევა.

– მოსალოდნელია თუ არა ლარის დევალვაცია?

– მე ვფიქრობ, რომ ლარის მყისიერი დევალვაცია მოსალოდნელი არ არის. თუ ჩვენი მოსახლეობა ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას, საბიუჯეტი შემოსავლები იქნება იგივე, გვაქვს შესაბამისი რეზერვებიც და ეროვნული ვალუტის კურსიც დიდად არ შეიცვლება. თქვენ კარგად იცით, რომ მე ხელისუფლებას ყოველთვის ვაკრიტიკებდი იმ ევროობლიგაციებთან დაკავშირებით, რომლითაც მათ საქართველოს საგარეო ვალი 500 მილიონი დოლარით გაზარდეს. დღეს, საომარი მოქმედებების დროს, ეს ფული შესაძლოა ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყოს და ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. ეს არის რეალური ფინანსური რეზერვი, რომელიც აქვს მთავრობას და სახელმწიფო ფინანსურადაც მომზადებულია. გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ, რომ ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიო ბანკი და სხვა საფინასო საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთოს რეაბილიტაციის პროცესში და გამოყოს გრანტები და შეღავათიანი სესხები.

– ეს კონფლიქტი, რამდენად იმოქმედებს იმ უცხოელ ინვესტორებზე, რომლებიც საქართველოში არიან და რამდენად შეაფერხებს ახალი ინვესტორების მოზიდვას?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, საომარი მოქმედებები მალე დასრულდება, თუ დროში გაიწელება. თავისთავად ქვეყანაში საომარი მდგომარეობაა, დიპლომატიური კორპუსიც კი შეზღუდულ რეჟიმში იწყებს მუსაობას და ხშირად ოჯახის წევრები გაჰყავთ ქვეყნიდან. რა გასაკვირია, რომ ბიზნესმენებმა შეიკავონ თავი აქტიური ბიზნესისაგან და ზოგიერთმა პასიურ მდგომარეობასაც საერთოდ ქვეყნიდან გასვლა ამჯობინოს. თუ ეს ყველაფერი მოკლე დროში, მაქსიმუმ 2 კვირაში დასრულდება, ეს იქნება მცირე ხნიანი შოკი და არ ექნება ის შედეგი, რომ ინვესტორებმა ქვეყანა მიატოვონ, მაგრამ თუ დროში გაიწელა, ეს რა თქმა უნდა გარდუვალი გხდება...

– საქართველოში ძალიან ბევრ ბიზნესში ჩადებულია რუსული კაპიტალი. რუსეთის ხელისუფლება ფიქრობს თუ არა მათზე და თქვენი აზრით, ისინიც დატოვებენ საქართველოს?

– დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ ობიექტებზე არ მოხდეს პროვოკაციები. თუ კი რუსული ბიზნესი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ დატოვოს საქართველო, მაშინ მათი მხრიდან სრულაც არ არის გამოტიცხული საბოტაჟი. ამიტომ ამ ობიექტებს ესაჭიროებათ განსაკუთრებული დაცვა და მეთვალყურეობა შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების მხრიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი პროვოკაცია და ვიმოქმედოთ საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით.

დიმიტრი ტიკარაძე